

კონკურსი

რეგიონული განვითარების სფეროში საჯარო პოლიტიკის დოკუმენტების მომზადება

ნაწილი I. რეგიონული განვითარების (GARF – RD) პროგრამა

1.1. რეგიონული განვითარების პერსპექტივები

საქართველოს რეგიონების მდგრადი განვითარება ქვეყნის განვითარების ერთერთი აუცილებელი პირობაა. რეგიონული განვითარების ნათლად ჩამოყალიბებული ხედვების (სტრატეგიების, სამოქმედო გეგმების) შექმნის საჭიროება განსაკუთრებით აქტუალური ხდება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების პროცესში.

ამ მიმართულებით საქართველოს ხელისუფლებამ უკვე გადადგა რიგი ნაბიჯები:

- 2009 წლიდან დაიწყო მუშაობა 2010-2017 წლების რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის შექმნის მიმართულებით, ხოლო 2014 წელს მოამზადა 2015-2017 წწ. რეგიონული განვითარების პროგრამა (RDP).
- საქართველოს მთავრობის #223 განკარგულებით, 2013 წლის 1 მარტს მოწონებულ იქნა "საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპები 2013-2014 წლებისთვის", ხოლო შემდეგ, 2014 წლის თებერვალში, საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი".

ქვეყნის რეგიონების განვითარების ხედვების შემუშავების პროცესში საქართველოს დახმარებას ევროკავშირი უწევს (2011-2014 წლების *სექტორალური პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამა*; 2014 წლიდან - *რეგიონული განვითარების მხარდაჭერი ჩარჩო პროგრამის (SPSP)* მე-2 ფაზა, რომლის მიზანსაც ცალკეული რეგიონებისათვის კონკრეტული სამოქმედო გეგმების შექმნა წარმოადგენს და ა.შ).

აღნიშნულ შესაძლებლობათა ეფექტიანი გამოყენებისათვის აუცილებელია ქვეყანაში არსებული ადამიანური რესურსების მიზანმიმართული მობილიზაცია - მხოლოდ სახელმწიფო ინსტიტუტების, სამეცნიერო საზოგადოების, ბიზნეს წრეების, სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი საქმიანობის შედეგად გახდება შესაძლებელი როგორც ზოგადი სტრატეგიული ხედვების, ისე ცალკეული სფეროების განვითარების კონკრეტული სამოქმედო გეგმების და სტანდარტების დადგენა.

ბოლო წლების მანძილზე, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით, ისე საქართველოში მოქმედი ანალიტიკური ცენტრების, უნივერსიტეტების და სინქ-თენქების მიერ განხორციელდა რიგი კვლევებისა (რეგიონული განვითარების დიაგნოსტიკური ანგარიში, 2009 და 2010; ურბანიზაციის მიმოხილვა, მსოფლიო ბანკი, 2012; რეგიონული უთანასწორობის ანგარიში, ISET, 2013 და ა.შ.). სამწუხაროდ, ასეთი კვლევები ცოტაა, ამასთან ზოგი მათგანი მხოლოდ ნაწილობრივ ეხება რეგიონული განვითარების საკითხებს. მთელ რიგი სფეროებში სერიოზული კვლევები არ არსებობს, არ არსებობს არც მეტნაკლებად სანდო სტატისტიკა. პრობლემას წარმოადგენს კოორდინაციის ნაკლებობაც ანალიტიკურ ცენტრებსა და გადაწყვეტილებების მიმღებთა შორის.

1.2. რეგიონული განვითარების პროგრამა

აღნიშნულ გამოწვევებზე რეაგირების მიზნით, 2014 წლის მაისში, საქართველოში ევროკომისიის მისიის ფინანსური მხარდაჭერით და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან კოორდინაციით სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა (CSI) დაიწყო რეგიონული განვითარების (GARF – RD) პროგრამის განხორციელება (2014-2016 წწ), რომელიც მიზნად ისახავს:

1. საქართველოში მოქმედი ანალიტიკური ცენტრების მხარდაჭერას რეგიონული განვითარების კონკრეტული სფეროების საჯარო პოლიტიკის დოკუმენტების მომზადების პროცესში;
2. რეგიონული განვითარების სფეროში მომუშავე ანალიტიკური ცენტრების ურთიერთდაკავშირებას და შემუშავებული ხედვების ხელისუფლებასთან განხილვას.

რეგიონული განვითარების (GARF – RD) პროგრამის შედეგად უნდა მომზადდეს საჯარო პოლიტიკის 10 დოკუმენტი ორი მიმართულებით: ა) რეგიონული პოლიტიკის მართვა, ადგილობრივი თვითმმართველობა და რეგიონების კონკურენტუნარიანობა; ბ) პოლიტიკების ტერიტორიული ზეგავლენის ანალიზი.

საჯარო პოლიტიკის დოკუმენტების თემატიკის საბოლოო შერჩევა განხორციელდება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და პროექტის მმართველი საბჭოს (PSC) მოთხოვნების საფუძველზე.

მომზადებული საჯარო პოლიტიკის დოკუმენტები მიეწოდება როგორც საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებს, ისე ქართულ და საზღვარგარეთის ანალიტიკურ ცენტრებს და ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას თუ კერძო პირს.

პროგრამის მმართველი ორგანოა პროექტის საბჭო (PSC), რომელიც შედის:

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო,
2. საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობა,
3. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი,
4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

პროგრამის მეთოდოლოგიურ მართვას ახორციელებს ექსპერტთა საბჭო. პროექტის ადმინისტრირებას ახორციელებს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი.

პროექტი ხორციელდება ორ ეტაპად. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს მეორე ეტაპზე მოსამზადებელი საჯარო პოლიტიკის დოკუმენტების სამუშაოთა აღწერილობას.

ნაწილი II. II ეტაპის საჯარო პოლიტიკის დოკუმენტები - ტექნიკური დავალება

2.1. მიზანი

საჯარო პოლიტიკის 5 დოკუმენტის მომზადება პროექტის მმართველი საბჭოს მიერ განსაზღვრულ სფეროებში.

2.2. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტების შინაარსი

2.2.1. თემები

1. სახელმწიფო სტანდარტები და ტექნიკური რეგლამენტები მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების სფეროში

როგორია განვითარებული ქვეყნების, განსაკუთრებით ევროკავშირის ახალი წევრი, კანდიდატი და ასოცირებული ქვეყნების გამოცდილება; მუნიციპალური უფლებამოსილებების რა სფეროებში იქნებოდა მიზანშეწონილი სტანდარტებისა და რეგამენტების შემოღება (მაგ.: როგორია უცხოური გამოცდილება სკოლამდელი განათლების დაწესებულებების სტანდარტების დაწესებაში გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა და მოსახლეობის სიმჭიდროვის გათვალისწინებით); რეკომენდაციები საკანონმდებლო ბაზის დახვეწის მიზნით.

2. რეგიონთაშორისი და მუნიციპალიტეტთაშორისი თანამშრომლობა და კლასტერული განვითარების შესაძლებლობები

ერთობლივი მუნიციპალური მომსახურების მიწოდების ორგანიზება; ხარჯთეფექტურობა - თანამშრომლობა თანადაფინანსების პრინციპით; კლასტერების შექმნა და განვითარება - პროცესის მნიშვნელობა, ძირითადი მახასიათებლები და წინაპირობები; საჯარო სექტორის როლი და ხელშემწყობი ღონისძიებების რუქა - საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა; რეგიონთაშორისი ან მუნიციპალიტეტთაშორისი კლასტერული განვითარების შესაძლებლობები საქართველოში - შესატყვისი ეკონომიკური პროექტების დაგეგმვა-განხორციელების პერსპექტივები პოტენციურ ერთეულებში; რეგიონული და ადგილობრივი ინსტიტუციების (მაგ.: რეგიონული განვითარების სააგენტოები) როლი შესაბამისი დაფინანსების მოძიებისა და მართვის პროცესში; ურთიერთობები კლასტერის სუბიექტებს შორის; ძირითადი საჭიროებები და რეკომენდაციები (მ.შ. საკანონმდებლო ბაზის დახვეწის კუთხით).

3. სივრცითი მოწყობა და რეგიონული განვითარება

სივრცითი მოწყობის საკითხები რეგიონული განვითარების კონტექსტში.

4. შესაძლებლობების განვითარება სუბ-ნაციონალურ დონეზე

ინსტიტუციური და ადამიანური რესურსები

5. რეგიონული განვითარების პოლიტიკების ფინანსური უზრუნველყოფა

ეროვნული და ევროპული პრაქტიკის და შესაბამისი ფინანსური ინსტრუმენტების შედარებითი ანალიზი (მ.შ. რეგიონული განვითარების ფონდები, მათი სპეციფიკა და სტრუქტურა, მართვა-გამოყენების პრაქტიკა, მიზნობრიობა და ეფექტიანობა).

რეგიონული განვითარების დაფინანსების პრაქტიკა და მისი ტრანსფორმაცია ევროპაში - ევროკავშირთან ასოცირებიდან კანდიდატობამდე, კანდიდატობიდან გაწევრიანებამდე და გაწევრიანების შემდეგ - წევრი სახელმწიფოების გამოცდილება და გაკვეთილები საქართველოსთვის.

რეგიონული განვითარების დაფინანსების *ეროვნული ინსტრუმენტების* ოპტიმიზაცია - სტრატეგიული და ოპერატიული შესაძლებლობების კონსოლიდაცია; სხვადასხვა პროექტების/პროგრამების სინერგიისა და ეფექტიანობის ზრდა, მათი ურთიერთდაკავშირებულობისა და კოორდინაციის ეფექტის უპირატესობა; რეგიონული განვითარების დაფინანსების *ევროკავშირის ინსტრუმენტებთან* წვდომა - მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი შესაძლებლობები და პერსპექტივები.

2.2.2. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტების სტრუქტურა

საბოლოო დოკუმენტი ოთხი ნაწილისაგან უნდა შედგებოდეს:

- 1. აღწერილობითი ნაწილი.** შესაბამისი სფეროს სტრუქტურის და მიმდინარე ცვლილებების აღწერა. არსებული სურათის კონსტატაცია:
 - სფეროში არსებული ზოგადი სურათი;
 - არსებული სისტემა მოქმედებაში - ფორმალური სტრუქტურა და რეგულაციები (ყოველდღიური პრაქტიკა და სტატისტიკური მონაცემები);
 - საერთაშორისო გამოცდილება.
- 2. ალტერნატივების ანალიზი.** არსებული გამოწვევის გადაჭრის გზების ანალიზი:
 - როგორია განვითარების დინამიკა აღნიშნულ სფეროში, ამა თუ იმ რეგიონში;
 - არსებული ალტერნატივების ჩამონათვალი;
 - თითოეული ალტერნატივის დადებითი და უარყოფითი მხარეები (SWOT ანალიზი, ხარჯთეფექტურობის ანალიზი ან მსგავსი ფორმატი).
- 3. შემოთავაზებული მოდელის დასაბუთება.** აღნიშნული მოდელის დანერგვის შესაძლო ეფექტი. მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები:
 - შემოთავაზებული ცვლილებების დასაბუთება მიმდინარე რეფორმების კონტექსტში;
 - შემოთავაზებული მოდელის პირობებში, რა ობიექტური და სუბიექტური წინააღმდეგობები და გამოწვევები დგება დღის წესრიგში;
 - რამდენად წარმატებით გადაწყვეტს ჩამოყალიბებული სისტემა აღნიშნულ (სოციალურ, ეთნიკურ, ეკონომიკურ და სხვა) გამოწვევებს.
- 4. დასკვნითი ნაწილი.** რეკომენდაციები:
 - რა შედეგები მოჰყვება სფეროში მიმდინარე ცვლილებებს;
 - როგორია განვითარების პერსპექტივები მოცემულ სფეროში;
 - შემოთავაზებული ხედვის განხორციელების ეტაპები, აუცილებელი რესურსები, რეგულაციები და პასუხისმგებელი სტრუქტურები.

2.2.3. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტის ფორმატი

- საშუალოდ საჯარო პოლიტიკის დოკუმენტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს (A4, ფონტი 11, ინტერვალი 1). სტატისტიკური მონაცემები, სხვა სახის ვიზუალური მასალა, თუ ავტორები მის მითითებას მიზანშეწონილად მიიჩნევენ, დანართების სახით უნდა იყოს წარმოდგენილი.
- საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი უნდა მომზადდეს ე.წ. "სამეცნიერო ჟურნალიზმის" სტილში და ადვილად აღიქმებოდეს საკითხით დაინტერესებული მკითხველისთვის. ამავე დროს სასურველია, რომ საჯარო პოლიტიკის დოკუმენტს თან ერთვოდეს გამოყენებული დოკუმენტებისა და ლიტერატურის ჩამონათვალი.
- საჯარო პოლიტიკის დოკუმენტს უნდა ერთვოდეს მოკლე აღწერილობა - **რეზიუმე** (მაქსიმუმ 2 გვერდი), სადაც მოკლედ იქნება დახასიათებული პრობლემა, პრობლემის გადაჭრის შემოთავაზებული გზა და მისი განხორციელების ძირითადი ეტაპები.
- საჯარო პოლიტიკის დოკუმენტის საბოლოო ვერსია **წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე.**

2.3. შემსრულებელი

2.3.1. განმცხადებელი ორგანიზაცია

- კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოში მოქმედ ყველა კვლევით ორგანიზაციას (უნივერსიტეტები, ანალიტიკური ცენტრები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები). თითოეულ ორგანიზაციას შეუძლია წარმოადგინოს **განაცხადი/განაცხადები ერთ ან, მაქსიმუმ, ორ თემასთან** დაკავშირებით.
- შემსრულებელმა ორგანიზაციამ უნდა შექმნას საჯარო პოლიტიკის დოკუმენტზე მომუშავე **ექსპერტთა ჯგუფი (ორი ან მეტი ექსპერტი)** საკუთარი ორგანიზაციის თანამშრომლებისგან ან/და მოწვეული პირებისაგან.
- ორგანიზაციის მოვალეობები
 - წარმოდგენილ თემაზე/თემებზე მომუშავე კვალიფიციურ ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის შექმნა;
 - სამუშაო ჯგუფის წევრების ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა კონკურსის პირობით გათვალისწინებული ბიუჯეტის ფარგლებში;
 - საბოლოო დოკუმენტის კვალიფიციური ინგლისური თარგმანის მომზადება თემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით;
 - ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის საქმიანობის უზრუნველყოფა.

2.3.2. ექსპერტთა ჯგუფი

- ექსპერტთა ჯგუფს უნდა ყავდეს **ხელმძღვანელი - წამყვანი ექსპერტი**, რომელსაც უნდა გააჩნდეს აღნიშნულ სფეროში საქმიანობის, სულ მცირე, **ხუთ წლიანი გამოცდილება.**
- ერთი და იგივე პიროვნება შეიძლება **წამყვანი ექსპერტი** იყოს **მხოლოდ ერთი საჯარო პოლიტიკის დოკუმენტის მომზადებისას** და **მხოლოდ ერთი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ განაცხადში.** ამავე დროს მას არ ეკრძალება მონაწილეობდეს სხვა ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ განაცხადებში ან/და საჯარო პოლიტიკის სხვა თემების მომზადების პროცესში, როგორც ექსპერტთა ჯგუფის წევრი.

- საჯარო პოლიტიკის დოკუმენტზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფი ვალდებულია:
 - პროგრამით განსაზღვრულ ვადებში წარმოადგინოს პროდუქტის შუალედური და საბოლოო ვერსია;
 - გაითვალისწინოს (მიიღოს ან დასაბუთებულად უარყოს) შეფასების პროცესში პროგრამის მმართველი საბჭოსა და შემფასებელთა მიერ გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები;
 - მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკის ანალიზის განხილვაში - დისკუსიებში და პრეზენტაციებში.

2.4. კონკურსის პირობები

2.4.1. კონკურსის დოკუმენტაცია

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

1. **სატიტულო გვერდი** - კონკურსის დასახელება, ორგანიზაციის სახელწოდება, შერჩეული თემის დასახელება;
2. **თემის ანოტაცია** (მაქსიმუმ 3 გვერდი) - წარმომდგენი ორგანიზაციის ხედვა არსებულ საკითხთან დაკავშირებით;
3. სამუშაოს განხორციელების **მეთოდოლოგია** (მაქსიმუმ 1 გვერდი);
4. ორგანიზაციის მიერ ადრე ამ მიმართულებით განხორციელებული საქმიანობა და სამომავლო საქმიანობის გეგმები (მაქსიმუმ 1 გვერდი);
5. მონაწილე **ექსპერტების სია და მათი CV-ები**.

შენიშვნა: განაცხადის განხილვის ეტაპზე, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განმცხადებელ ორგანიზაციას მოეთხოვოს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა.

საპროექტო დოკუმენტაცია ერთ ეგზემპლარად უნდა გაიგზავნოს ნაბეჭდი სახით სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტში. მისამართი: თბილისი 0171, 26 მაისის მოედანი 2, V სართული. ამავე დროს, წარმოდგენილი უნდა იყოს განაცხადის ელექტრონული ვერსიაც CD დისკზე.

კონვერტზე მითითებული უნდა იყოს:

- კონკურსი - რეგიონული განვითარების (GARF – RD) პროგრამა"
- ორგანიზაციის სახელწოდება
- თემის დასახელება

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციას ორ თემაზე შემოაქვს განაცხადი, თითოეული განაცხადი ცალკე კონვერტში უნდა იყოს მოთავსებული.

2.4.2. განაცხადების შეფასების კრიტერიუმები

წარმოდგენილი განაცხადები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

1. განმცხადებელი ორგანიზაციის გამოცდილება კონკრეტულ სფეროში - 20%
2. წარმოდგენილი ექსპერტთა ჯგუფის გამოცდილება - 40%
3. დოკუმენტის ხედვის და მეთოდოლოგიის რელევანტურობა პროგრამის მიზნებთან - 40%

გადაწყვეტილებას განაცხადის დაფინანსების შესახებ იღებს პროექტის მმართველი საბჭო.

2.4.3. პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის განრიგი

1. კონკურსის გამოცხადება - 20 აპრილი, 2015
2. განაცხადის წარმოდგენის **ბოლო ვადა - 10 მაისი, 2015**
3. გამარჯვებული ორგანიზაციის გამოვლენა - 25 მაისი, 2015
4. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობის დასაწყისი - 1 ივნისი, 2015
5. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტის პირველადი ვერსიის წარმოდგენა - 1 ოქტომბერი, 2015
6. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტის პირველადი ვერსიის განხილვა პროგრამის ექსპერტების მიერ - 1 ოქტომბერი - 15 ოქტომბერი, 2015
7. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტის პირველადი ვერსიის განხილვა დისკუსია-ვორქშოფზე - 25 ოქტომბერი, 2015
8. გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით საჯარო პოლიტიკის დოკუმენტის საბოლოო ვერსიის მომზადება და პროგრამის ექსპერტებთან შეთანხმება - 1 ნოემბერი, 2015 - 15 იანვარი, 2016
9. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტის საბოლოო ვერსიის წარმოდგენა ქართულ და ინგლისურ ენებზე - 15 თებერვალი, 2016
10. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტის ბეჭდვა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ - 1-10 მარტი, 2016
11. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტის გავრცელება სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ - 10-31 მარტი, 2016

2.4.4. კონტრაქტის ღირებულება

საჯარო პოლიტიკის დოკუმენტის მომზადების ღირებულება შეადგენს **9,000 ევროს ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში.**

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი გამარჯვებულ ორგანიზაციასთან გააფორმებს ხელშეკრულებას და სამ ეტაპად მოახდენს ანაზღაურებას (40% / 20% / 40%).

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:

ეკა დანელია,

პროგრამის კოორდინატორი

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

eka@civilin.org